№ 238 21 ნოემბერი, სამშაბათი 1876—1877 21 ნოემბერი, სამშაბათი № 238

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლში № 8.

ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლებში, № 8.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ მიიღება კანცელარიში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მ. ნ. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ᲣᲛᲬᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲬᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დოლარებით ახოზე—1 კაპ., ახო-მთავრულით ეტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დახაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲓᲦᲘᲡᲛᲬᲝᲚᲒᲚᲘᲡ ᲢᲐᲫᲠᲐᲓ ᲛᲘᲣᲕᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲪᲐ.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲡ 1879 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“

ᲒᲐᲛᲝᲪᲐ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲓᲦᲔ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲛᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲫᲐᲛᲓᲘᲜ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲝᲓᲐ.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ

Თფილისში—მიიღება „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ რედაქციაში (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლებში, № 8).

Გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію газ. „Дроэба“.*

Აგენტების საშუალებით გაზეთის დაბარება შეიძლება მხოლოთ იმ პირობით, რომ ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იყოს რედაქციაში გამოგზავნილი.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

მთელის წლისა — — — — — — — — — —	8 მან.
ნახევარის წლისა— — — — — — — — — —	5 „
სამის თვისა — — — — — — — — — —	3 „
ერთის თვისა — — — — — — — — — —	1 „

მხოლოთ ამ ვადებით შეიძლება გაზეთის დაბარება.

ᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ-ᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲛᲜᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ; უფულოთ გაზეთი არავის არ გაეგზავნება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲐᲗᲝᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲑᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲣᲛᲬᲐ

„Დროების“ 229 და 230 №-ში მოყვანილი იყო Ათონის ქართველთა მონასტრის ბერების სურვილი და იმათი თხოვნა, რომელიც ათ ეექილს მთავრობისათვის ბოუხენებია. ძალიან საჭირო იქნება ვიცოდეთ: ბერები რა მდგომარეობაში იყვნენ ამ ორის წლის განძავალობაში, როდესაც მისვლა-მოსვლა არ შეეძლოთ ჩვენს მხარეში და ცხოვრების ლონის-ძიების უქონლობით შევიწროებაში უნდა ყოფილიყვნენ.

ჩვენ ცოტაოდენი ამბავი შევიტყეთ ბერების მდგომარეობაზე. ჯერ სულ პირველათ უნდა მოვიგონოთ, რომ ქართველთა მონასტერში (Იოანე ღვთისმეტყველისაში) ოც-და-ხუთი კაცია ბერი; იმათი სურვილი არის განდეგილ ცხოვრებაში მოიპოვონ ქართველთა დედა მონასტერი Ივერიისა მისის ძვირფასის წიგნთ-საცავით (ბიბლიოთეკითა), რომელ ძიაც ათასამდე ძვირფასი პერგამენტზე ნაწერი წიგნია. ამისი მოპოება საქართველოს განათლებისა და ქრისტიანობის ისტორიისათვის დიდი საუნჯეა და ამ საუნჯის დაკარგვისა ეშინიანთ.

ამ მონასტერზე და წიგნთ-საცავზე დიდი შრომა და ხარჯია დადებული საქართველოს ხალხისა და მეფეებისაგან და უსამართლობა იქნებოდა, რომ ეს საუნჯე საქართველოს დაეკარგოს.

ამ აზრით საქართველოდამ წარსულმა ბერებმა დააფუძნეს Იოანე ღვთისმეტყველის მონასტერი, რომ ახლოს ყოფნით და მეცადინეობით როდისმე ისევ დაიბრუნონ; ამ აზრით მრავალი შრომა და გაჭირება დაუდვიათ ამ ოც-და-ხუთ ბერსა; ამ აზრით და ამ იმედით დღესაც შრომობენ და გაჭირვებაში არიან.

დღეს ეს ოც-და-ხუთი მოღვაწე ბერი თითქმის შიმშილს იითმენს.

ამ ორ წელს ომების მიზეზით Ათონის ქართველ ბერებს საქართველოდამ არაფერი შემწეობა არ მისვლიათ; წინათ ცოტაოდენი შემწეობა ჰქონდათ და, ცოტათი იყო თუ ბევრათ, თავს ირჩენდენ.

ამის გამოთ დიდს გაჭირვებაში ყოფილან, ბერძნების მონასტრებისაგან შემწეობა არა ჰქონდათ და Ივერიის მონასტრის ბერძნების შურით და აე-ენაობით ყველასაგან დატევებული ყოფილან: ბერძნის ბერებს სურსთ ქართველთა ბერების იქამდინ მიყვანა, რომ გამოცვივდნენ და თავი მიანებონ დაწყებულ საქმესა. აი რას იწერება ერთი პატივცემული გვამი Ათონის მთიდამ:

„Დიაღ ძალიან ძნელ მდგომარეობაში იყვნენ ქართველი ბერები ამ ომის დროსა. Არავითარი სახსარი არა ჰქონდათ ცხოვრებისა. Თუმცა მოჭირვებით და დიდათ ღარიბათა ცხოვრებენ, მაგრამ ადამიანს მაინც ლუკმა-პური ეჭირება. Ამ გაჭირებაში რუსთა მონასტერი წმ. პანტელეიმონისა, რომელ შიაც მრავალი რუსის ბერია, ხელს უმართავდა და ცდილობდა ცოტაოდე შეემსუბუქებინა მათი საცოდავობა. რამდენათაც ეეიძლებოდა შეეწეობას აძლევდა ფქვილითა და სხვა ხორაგეულობითა.“

„Და ესეც ახლა შემოაკლდათ. ქართველთა მონასტრის მმართველათ იყო Იოანა, რადგან მამა ბენედიქტე საქართველოშია. Ამ ჟამათ Იონა ავათ არის და აგერ რამდენიმე თვეა რუსთ მონასტრის საავათმყოფოში წევს. ქართველი ბერები თავის მონასტერში დარჩნენ, და საქმისათვის საკითხველათ ავათმყოფ Იონასთან დადიან. Დიდს მწუხარებაში არიან ეს ბერები უსარჩობისა გამო, ამისთანა მტრობაში, რომელსაც აჩენენ ბერძნების ბერები.“

„სილარიბე იქამდის მიაღწევს, რომ არ იციან როგორ იცხოვრონ და აქ როგორ დადგნენ. Ამასთანავე ქარეის ვაჭრებისა ათასი მანეთი ჰმართებთ ტანისამოსისა და სხვა ძალიან საჭირო ნივთებისათვის, რომელიც ნისიათ აუღიათ...“

რუსთ წმ. პანტელეიმონის მონასტრიდგან ფქვილით, ხორაგით და ფულათ აუღია ჩვენ ქართველთ მონასტერს თხუთმეტი ათასი ლეევა, (13 ლეევა 1 მანეთია), რომელიც შეადგენს ას ოც თუმნამდის.

ამ გვარათ Ათონის ქართველ მონასტრის ბერები ეხლა დიდს შეჭირვებაში არიან და ორასოც თუმნამდის ვალი ჰქონიათ. Ამასთანავე უნდა ვიცოდეთ, რომ მონასტრის ეკლესია მოურთველია, არაფერი მოწყობილება, მაგალითად კანკელი, არა აქვს. Იმას ნულარ

ვიტყვით, რომ გუმბათი ჯერ არ მოუდგამთ და გასათავებელია.

მამა ბენედიქტე აქამდის მთავრობასთან არზის და თხოვნის შეტანაზე დადიოდა. ახლა ვალი აქვს და ამ საქმეზედაც უნდა იარაოს.

ნუ თუ ჩვენი საზოგადოება გულ-გრილათ უყურებს საქართველოს იერუსალიმის ძველის მონასტრის და წიგნთ-საცავის მოპოვებისათვის მოღვაწე ბერებსა, რომელნიც ამ ჰაზრით ვალებში ჩაცვივნულან, ლუკმა-პური ენატრებათ, ბერძნებისაგან შეწუხებაში არიან, და თავის შემწეობას მოაკლებს.

არა. შეჭველად მამა-პაპის ნაშრომი არ უნდა დაეკარგოთ და იმათს ყოველთვის ხელ-გაშლილის მაჯალითს მიბაძოთ. საჭიროა ხელის მოწერა გაიმართოს და მოგროვებული ფული პირ-და-პირ იოანე ღვთისმეტყველის ქართველთ მონასტერში გაიგზავნოს, ან უფრო უკეთესი იქნება, ნება მიეცეს მამა ბენედიქტეს ფურცლის ტარებისა საქართველოს ქალაქებში და სოფლებში.

დღიური

*** გაზეთს „ობზორში“ დაბეჭდილია სილნალიდამ 18 ნოემბერს მიღებული შემდეგი ტელეგრაფმა:

„სამხედრო სასამართლომ გამოაცხადა დღეს თავის განჩინება სილნალის არეულობის თაობაზედ 20 ბრალდებულში დამნაშავედ იცნეს 9 კაცი და 2 ქალი; მაგრამ სასამართლომ ამასთანავე აღიარა, რომ ამათ ისეთს გარემოებაში ჩაუდენიათ დანაშაული, რომ შეწყნარებისა და სასჯელის შემსუბუქების ღირნი არიანო.

„ამ დამნაშავეთ სასამართლომ გარდაუწყვეტა ყველა ღირსების ჩამოხდა და თხუთმეტი-წლით კატორგაში გაგზავნა; მაგრამ სასამართლო იშუამავლებს მისს იმპერატორებით შამალლისობასთან, რომ ეს სასჯელი მარტო სიმბირში გადასახლებით შეუცვალოს.

„ხალხმა, რომელიც სასამართლოს გარდაწყვეტილების გამოცხადებას უცდიდა მაედანზე, როცა ბრალდებულები გამოიყვანეს, ზოგი ულოცავდნენ და ზოგიც ტიროდნენ. ბულ-შესაწუხებელ სანახავ სურათს წარმოადგენდა ეს ხალხით სავსე მაედანი.“

*** დ. მ. ქავკასიის ნამესტნიკი გასულ შაბათს, 18-ს, საღამოს 6 საათზე წაბრძანდა პეტერბურღში და იმის მოადგილეთ მთავარ-მმართებელის თანამდებობა დროებით მინდობილი აქვს თ. სეიატოპოლკ-მირსკის. შაგოსტოესი სახლობა დიდის მთავრისა მომავალ ქრისტეშობისთვის 14-ს წაბრძანდება აგრეთვე პეტერბურღში.

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ თავის წინამძღომლის თ. დ. ა. სუმბათოვის ხელით მიართვა წასელის წინათ დიდ ენიაქნას ანასტასია მიხეილის ასულს გამოსათხოვარი ადრესი და ამასთან 4,000 მანეთი, რომლის სარგებლიდამ უნდა დაწესდეს ორი სტიპენდია თფ. საქალებო გიმნაზიაში, ერთი ქნიაქნას სახელზედ და მეორე იმის საქმოს მეკლენბერგ-შვერინის პრინცისა.

*** დღეს, ორშაბათს, მუსრანსკეს სახლებში თფილისის ქართველ საზოგადოებისაგან გამართულია სადილი ბათუმიდამ მოსულ დეპუტაციისათვის. რაც თფილისში წარჩინებული ქართველები და ზოგი სომხობაც დაესწრო ამ სადილზე. სადილმა კარგათ, მხიარულად ჩაიარა შესაფერი სადღეგრძელოებით, ჩეხური მუზიკითა და ზურნა-დუდუკით. შემდეგ ნომერში ჩვენ დავბეჭდავთ უფრო დაწვრილებით აღწერას იმ სადილისას.

უცხო ქვეყნები

ინგლისი

ლონდონის ყველა გაზეთები ერთ-ხმად აცხადებენ, რომ ინგლისსა და ავგანისტანს შუა ატეხილის ომით მეროპის მშვიდობიანობა არ იქნება დარღვეულია; დარწმუნებული ვართო, რომ, როგორც დაიწყო ეს ომი ავგანისტანსა და ინგლისს შუა, ისეც მარტო ამათში გათავდებაო, სხვა სახელმწიფოებს არ ექნებათ მიზეზი იმაში ჩარევისა. ინგლისი დაკმაყოფილდება რამდენიმე იმითია, რომ რამდენ ჯერმე დაამარცხებს მტერს, შეაწყრებს თავის საზღვრებს და იმწამსვე, მორიგების პირობას შეჰკრავს ემირთანაო.

—ინდოეთიდამ მოვიდა ახლა ამბავი, რომ აღმეჯიდის აღების დროს ინგლისს ჯარს ათი ზარბაზანი კიარა, 22 ზარბაზანი წაურთმევიათ ავგანელებისათვის და ნახევარი გარნიზონიც ამ ციხისა

ფელეტონი

მაჭახელა

(ერთი თვალის გადავლება)

რადგანაც ჯერ, ამ რამოდენიმე საუკუნე, განმავალობაში, ქრისტიანი კაცის ფეხი არ დადგმულა აქ, არა თუ ევროპელი მწერლისა, ამისათვის ვგონებ ნამეტანი არ იქნეს მცირედი აღწერა.

ამ ღღეებში აქ გზათ გამოიარა მთიულეთის მართველობის უფროსმა გენ. ლეიტ. ქამაროვმა (ჩვენი ღუბერნატორის ძმამ) და ერთმა მისმა ხლებულმა ჩინოვნიკთაგანმა დამიჩვენა კარტა ახლად შემოერთებული საქართველოსი; ყოველი სოფელი გარეშემო დანიშნული იყო და მაჭახელას ადგილი კი ცარიელი ადგილი იყო.

ამითი დავრწმუნდით, რომ ჯერ უცნობია ქვეყნისთვის ეს მხარე და ბევრი საინტერესო რამე უნდა იყოს აქ დაფარული.

ეს პატარა ჩვენი მაჭახელი არის ცოცხალი ისტორია საქართველოსი.

მაჭახელა მდებარეობს ორ წყალ შუა. აჭარის წყალი შეუერთდება ჭოროხს და იწყება მაჭახელი. მარცხნით ჭოროხი, სადაც გალმა სახლობენ მცხოვრებლები მარადიდისა — 30 სოფელი; მარჯვენივ აჭარის წყალი, რომელიც გაყოფს მაჭახელას აჭარასაგან.

თვით მაჭახელი იყოფა ორ ქედათ და შუაში ჩამოდის მაჭახელის წყალი. ორივე მხრით მთებში დგანან ხალხი, რომელიც შესდგება 26 სოფლიდგან.

აი სახელი მაჭახელის სოფლებისა: 1) მაჭახელის-პირი, 2) სინდიეთი, 3) აჭარის-ალმართი, 4) ცხემლალა, 5) ჩაკუნეთი, 6) ხერთვისი, 7) მინდიეთი, 8) აკრია.

ესენი არიან მაჭახელას წყალის მარჯვენა ქედზედ.

მარცხენა ქედზედ:

9) ქობალეთი, 10) ქინათი, 11) ზვარა, 12) ქედ-ქედი, 13) ჭანევრი, 14) ქედა-ჩხუტუნეთი, 15) ზედა-ჩხუტუნეთი, 16) ბორგაზეთი, 17) საფუთკრეთი, 18) ზედა-ვაკე, 19) მეფრატი, 20) ქვაბის-თავი.

მეორე გვერდგე მარჯვენა ქედისა აჭარის წყლისკენ:

21) ქედა-ხერთვისი, 22) მაღლა-კონი, 23) ჭალა-ხმელა, 24) უჩხეტი, 25) მელესი და 26) ნამელისევი.

მაჭახელის სოფლები აკრია და ქვაბისთავი რომ გათავდება, იწყება უდაბური ტყე. ამ ტყეს ეწოდება მარჯვენა მხარეს ქორდა და მარცხენა მხარეს ლეკობანი. ეს ტყე და მაჭახელა გათავდება შავშეთის სამზღვარზე.

მაჭახელში იქნება 2,500 მოსახლემდინ. მცხოვრებიარიან წმინდა გურულ ები. ცხოვრობენ მტაცებლობით. მსენი ცარცვენ შავშეთლებს, აჭარლებს და მეტადრე მარადიდელებს, რომლებიც უმეტესი ნაწილი ვაჭრები არიან და დიდი და პატარა მენავობს. ჭოროხის წყლით შეაქვთ ზღვაში და ჩააქვთ ბათუმში ხე-ტყე, ყურძენი, ვაშლი; აგრეთვე ბათუმიდამ. დიდი სიმარჯვე და გამოცდილება აქვთ წყალში. მაგრამ მათზე უსაკოდავესი არ არისრა მეტადრე ზამთარში, როდესაც წყალში ჩამდგარი თოკებით მოათრევენ პირალმა სავსე ნავს რომელიმე ვაჭრისას ართვინს და ლიანაში.

ამ ოფლით პურის მჭამელ ხალხს ხედება მაჭახელელი კაცი გზაზე მაჭახელის-პირში და ან ბათუმის გზაზე ქახაბერში, გაჯიგლებს თოფს და უძახის: „მგნავე! ჩამისვი, წამიყვანე ბათუმში!“ თუ შეშინდა და არ ჩაისვა, თოფს დაუშენს და ამ დროს გარბის საცოდავი მარადიდელი და თუ მოვიდა, გაცარ-

ტყვედ აუყვანიათ, სხვათა შორის ერთი ლენერალი და რამდენიმე ოფიცერი.

ოსმალეთი

მოგეხსენებათ, რომ სხვათა შორის არაბეთშიაც ხალხის აჯანყება არის ამ ჟამად, იემენის და ეჯარის მცხოვრებლები ხარჯს. ალარ იძლევიან და დაიარაღებული არიან მთავრობისა წინააღმდეგთო. ამათ დასამშვიდებელად, მედინის ლუბერნატორის მოთხოვნლებით, ოსმალეთის მთავრობას რამდენიმე ბატალიონა ახალი ჯარები გაუგზავნია არაბეთში.

ჩერნოგორია

ცეტინიელი კორრესპონდენტი ბერლინის გაზეთის „პოსტისა“ იწერება:

„ჩერნოგორიაში დიდი მზადებაა ამ ჟამად საომოდ. მთავარს ნიკოლაის აღარა აქვს იმედი, რომ მშიდობიანად გაათავოს საქმე ოსმალეთთან, რომ ნებაყოფლობით დაუთმონ ჩერნოგორიას პოდგორიცა და სპუჟი, რომელიც ბერლინის კონგრესმა გარდაუწყვიტა, და ამის გამო ომისათვის ემზადება ხელახლად.

„მოგეხსენებათ, რომ ამჟამად ცეტინიეში არის კომისია ოსმალეთსა და ჩერნოგორიას შუა ახალ სამზღვრების გასაყვანად. ამ კომისიამ ვერა გაარიგა-რა, რადგან იმის ორი წევრი—ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენელნი—ოსმალეთის მხარეს იჭერენ და არაფრის დათმობას არ უპირებენ ჩერნოგორიას. ასე რომ გაზაფხულზე უეჭველია, ხელახლად ომს უნდა მოველოდეთ ოსმალეთსა და ჩერნოგორიას შუა.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 18 ნოემბერს. ბუშინ ინგლისის მაიორის პერსონის ატრიად დაეცნენ აფრიდიელები ხაიბერის ხევების მახლობლად: მოკლულა ორი სალდათი და მაიორის პერსონის ცხენი. ბუშინდელს აქეთ ხაიბერის გზა შეკრულია; სურსათის მომტანი ურმები უკან დაუბრუნეს. მეცხრე პოლკის ერთი როტა და მთელი პოლკი სოიკისა გაგზავნილია ბრძოლის ველისაკენ. ამბავი ჯერ არა მისულა-რა ბუშინდელს აქეთ ალიმესჯიდის მახლობლად გაცხარებული სროლაა. აფრიდიის ხალხმა მტერობა გამოაცხადა ინგლისს.

ლონდონი, 19 ნოემბერს. ბლადსტონმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ის საყვედურს აცხადებს მმართებლობაზე იმისთვის, რომ იმან არავითარი ცნობები არ წარუდგინა პარლამენტს ავგანისტანის საქმეების შესახებო, არც აცნობა ქაბულმა ელჩის გაგზავნა, არც ომის დაწყება ავგანისტანთან და არც პარლამენტი მოიხმოვო. ბლადსტონმა ასე გათავა თავის სიტყვა.

„ავგანისტანთან ომი უსამართლო ომია. შესაძლებელია, რომ ამ ომის წყალობით ინგლისმა ინდოეთი დაჰკარგოს.“

მადრიდი, 18 ნოემბერს. მინისტრების რჩევამ გარდაწყვიტა დღეს, რომ ყველა უცხო ქვეყნელი წევრები ინტერნაციონალურ საზოგადოებისა გაანდევნოს ესპანიიდამ.

პეტერბურღი, 19 ნოემბერს. ხელმწიფე იმპერატორი მოსკოვში მობრძანდა და დიდს კრემლის სასახლეში ინება ჩამოხტომა.

განცხადებანი

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის გამგებელ კომიტეტისაგან.

1879 წ. იანვარში იხსნება ქ. თფილისში შკოლა „თფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოებისა, შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“, ვაჟების მოსამზადებლად საშუალო სასწავლებელთ (გიმნაზიების) პირველ კლასისათვის.

ჯერ-ჯერობით შკოლა გამართული იქნება ოთხმოც ვაჟისათვის, რომელთაც შორის ოცდა-ათი შიგ შკოლაში იქნებიან დაბინავებულნი და ორმოც-და-ათი მოსიარულენი. შიგ მცხოვრებთა შორის ათი იქნება უფულოდ, ე. ი. „საზოგადოების“ ხარჯით; თხუთმეტი თავიანთ ხარჯით, რომელთა უნდა შეიტანონ ოცი თუმანი წელიწადში; ხუთიც იმისთანა ყმაწვილი, რომელთაც შეუძლიან შეიტანონ ამ ფულის მხოლოდ ნახევა-

---

ცავს.

მაჰახელი არის ბუდე ავაზაკებისა. იმისთანა ბეგი ანუ აღა არ იქნება, რომ გამოქცეული რუსის სალდათები, ქართველები და ეტაღრე გურულები არ ჰყავდეს.

თავის დღით აქ ასში ერთი არ მომკვდარა. კაცის სიკვდილი ქება არის, ძაღლის სიკვდილი კი ცოდვა.

მაჰახელაში არიან 30 მარტო სამხედრო იარაღის მკეთებლები. „მაჰახელის“ თოფი ნაქები არის მთელს ქავკაზიაში შემდეგ ძველი ყირიმისა, რომელიც ძველათ კეთდებოდა. ბურიაში ამ თოფს, ვისაც აქვს, „მაჰახელას“ ეძახის, მაგრამ ამ თოფებს გარდა ოსმალოსთვის არ დაუბრუნებიათ და ყოველ მაჰახელს ხელში უკავია მარტინის ან მაგაზინის სისტემის თოფი.

მარტო მაჰახელში 3,000 ამორჩეული მსროლი გამოვა, ომში საჭიროების დროს, დარჩეული ეაქ კაცი მწრაფლ-სასროლი თოფებით, და გაბედვით ვეტყვი, რომ ხუთი-ექვსი წლის ნასწავლი სალდათი ისე ვერ მოიხმარს ევროპიულ თოფებს, როგორც ესენი.

არა თუ სხვა რჯულის ხალხი ვინმე ცხოვრობდეს მაჰახელაში, არამედ ვერცერთი მეზობელი ხალხთაგანი აქ გზათაც ვერ გაივლის.

რჯულზე არიან მტკიცე და თვით ოსმალოებზე უფრო ფანატიკოსები. მხოლოდ ერთი სიმძულვარით ქრისტიანობისა მთელი მაჰახელი ფეხზე სდგას და აპირობენ გადასახლებას ოსმალეთში.

აქაურს ხალხში თვით ბეგებშიაც ხალხოსნობის აზრი არ არის.

— ამ ოთხასის წლის-წინეთ სანამ ქრისტიანები ვიყავით, გურჯები (ქართველები) ვიყავითო, და ჩვენი გვარიც ეს ყოფილა!“ მხლა კი გვარის მაგიერად ამის სახელს ხმარობენ.

აქ არის ბეგი წულუკიძე და სხვანიც არიან ამ გვარისა, იწოდებიან ქვარიტაძეებთაც, კიდევ არიან გვარები: ზაქარიძე, შოტლაძე, ქიბოროიძე, მალაყეიძე, ჭორტიძე, ბვარი-ოღლი, ბვარისშვილი და სხვანი.

ბვარის დიდი პატივის მცემელი არიან.

ხალხი ძრიელ დამჯერებელია: ამოდენი ხანი აქ ვარ და ერთი კაცის კვლა არ მომხდარა. მხოლოთ ჩემი მოსვლის მეორე დღეს აქ ძმამ ძმა მოკლა ეაშლისათვის; იმ დღესვე დავატუსაღე და ბათუმში გავგზავნე. ხალხი შეშინდა.

ხალხმა ნახა, რომ ბეგებთან იმასაც ქონია სამართალი. ბეგებს კი უკვირთ, ჩვენში ასე იყო სამართალი: აღა ან ბეგი რომ ფუხარას (ღარიბს) მოკლავდა, ბეგს დაიბარებდენ ბათუმში სამ დღეს ჰაფსში (სატუსაღოში) ჩასვამდნენ და სადილ-ვახშამი უნდა თვითონ თავის ხელით მიერთმია სატუსაღოს ზედამხედველს და ეხლაკირუსის მუდირი ბეგებსაც ისე იჭერს, როგორც ფუღარასო!

წერილმა ხალხმა თითქმის შეცვალა აზრი ოსმალეთში წასვლაზედ. მათ ძრიელ უკვირთ, რომ არა თუ მუდირი, მისი ხანუმიც აქ ამდენ „გონჯს“ კაცში თამამათ დადის, ერთი ზავთი (ჯანდარმი) არც რუსი და არც გურჯი არ ყავსო,— და ამ ნაირათ გვემხრობა ხალხი...

სხვას მეტს ვერასა გწერთ ამ ჯერობით.. აქაური ხალხის ხასიათსა, ჰაზრსა და ენის თვისებას ავიწერთ ერთი აქაური მცოდნე კაცი. მეორე პირი გაცნობებთ ცხოვრებას და მოქმედებას თამარ-მეფისას ამ ქვეყანაში, და სასოფლო შკოლების მიზართულებას. აგრეთვე აქაურ სახალხო ანდაზებსაც ეკრებ.

თ. დ. წ.

რი, ე. ი. ათი თუმანი; მომსელელ შეგირდებთა შორის თხუთმეტი ისწავლის უფასოდ, ე. ი. „საზოგადოების“ ხარჯით, დანარჩენმა ოცდა-თხუთმეტ-მა უმაწვილმა უნდა შეიტანონ თითომ წელიწადში სამი თუმანი სწავლის ფული.

ყველა ეს ფული შეტანილ უნდა იქმნეს ექვს თვეში ერთხელ, წინადვე.

შკოლაში მიიღება ყველა წოდების უმაწვილი. „საზოგადოების“ ხარჯით მიღებულ იქნებიან, ამა „საზოგადოების“ პირველ მუხლის ძალით, ის უმაწვილები, რომელთა მშობლები არიან საზოგადოების წევრნი და ცხოვრობენ თფილისის გარედ. შკოლაში მიიღება უმაწვილი შვიდის წლიდამ ვიდრე ათ წლამდე, და იმ განყოფილებაში, რა განყოფილებასაც შეეხება მისი ცოდნი და წლოვანება.

არზა უმაწვილის მიღების თაობაზე უბრალ ქაღალდზე უნდა იქმნეს დაწერილი გამგებელ კომიტეტის სახელზედ და მიეცეს ან საზოგადოების თავმჯდომარეს ღენ.-ლეიტ. ა. ბ. მამაცოს ტუბაში, საკუთარს სახლებში, ან სეკრეტარს უ. ნ. დ. ბანანოვს სოლოლაკში, ტონსულის ქუჩაზე, № 4.

არზის გარდა უნდა წარმოადგინონ დაბადების და ნათლობის მოწმობაც მოძღვრისაგან.

ვისაც დაწერილებით ჰაურს საქმის გამოძიება, შეუძლიან მიმართონ ან „საზოგადოების“ თავმჯდომარეს დი ან სეკრეტარს.

(3—3)

პირუტყვების დამცველთა თფილისის **საზოგადოების** ვიცეპრეზიდენტი **დ. ი. უიფიანი** სთხოვს ამ საზ-გადოების წევრთა, რათა მოგზავნენ თავს მჯდომარის ამოსარჩევად და საქმეების განსახილველად საზოგადოკრებაზედ, რომელიც იქნება ამ თვის 21-ს, საღამოს 7 საათზე ქალაქის რჩევის სადგომში. შეუძლიანთ მოსელა აგრეთვე გარეშე პირთაც.

2—2

ქალაქის გამგეობისაგან

რადგან დანიშნულ დროს, 15 ნოემბერს, არ აღმოჩნდნენ მსურველები, რომელთაც ეკისრათ შეშის მოტანის იჯარით აღება მეტეხისა და საპყრობილისთვის, აგრეთვე მთავარ სატუსაღოს საყარაულოსათვის, ჟანდარმის გაბგეობისა და ცხენოსან ჟანდარმების კამანდისთვის, ამის გამო ქალაქის გამგეობა ხელ-ახლად ნიშნავს ამ საგანზე ვაჭრობას ამა წლის ნოემბრის 25-სთვის და ამაზედ საყოველთაოდ იცხადებს.

3—3

დაიბეჭდა და ისყიდება ა. თუთაევის სამ-მოქმედებიანი კომედია; **„ძალი, გული და მაშენიკები“**—თფილისში: ბრიჭეროვის, ვართანოვის და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში,

ვლადიკავკაზს: ბორგი ბარათოვთან, ბორში: ზაქარია დონდაროვთან, ცხინვალში: თ. ვანო თაქთაქოვთან, საქაშეთს: თ. ნიკო დიასამესწინ მეჯვრისხევს: მასწავლებელ მოსე ნათაძესთან, ქუთაისს: ა. მესხის წიგნის მაღაზიაში და დ. ბოკერიასთან, სამტრედიას: იორდანე სიხარულიძესთან, ფოთში, ელიზბარ ბაბალოვთან.

ამავე პირებთან ისყიდება ამავე თუთაევის მეორე კომედია.—**„ცოლი ვიტირო, თუ ფული?“**

(6—4)

ვართანოვის წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახალხო შკოლებში სახმარებელი, შედგენილი ი. ბოგებაშვილისაგან, მეორე შესწორებული გამოცემა. ფასი ექვსი შაური, ყდაში გადაკრული ცხრა შაური. თუ რომელიმე შკოლა იყიდის ერთათ ოცდა-ათ ეგზემპლიარსა, ან რომელიმე კერძო პირი ასსა, ეგზემპლიარი დაეთმობა უყდო ხუთ შაურათ, ყდიანი ორ აბაზათ.

ბუნების კარი, ანუ საკითხავი წიგნი, დაბალ კლასებში სახმარებელი, მესამე გამოცემა, შევსებული და შემკული სურათებით და საქართველოს კარტით; ფასი ხუთმეტი შაური. ეგზემპლიარი დაეთმობა თოთხმეტ შაურათ, ვინც ერთათ იყიდის თხუთმეტ ეგზემპლიარსა,—ცამეტ შაურათ, ვინც ერთათ წაიღებს ოცდა-ათ ეგზემპლიარსა და სამ აბაზათ ასი ეგზემპლიარის ერთათ მყიდველსა. ისაც ჰაურს ყდაში გადაკრული ვაიღოს, უნდა ამ ფასს დაუმატოს სამი შაური.

საუმაწვილო კონა პირველ დაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან, გამოცემა პირველი, ფასი ექვსი შაური.

პატარა ბიბლიოთეკა, პირველი წიგნი, შეიცავს სამს საუმაწვილო მოთხრობასა; ფასი ორი შაური

აქვე ისყიდება ყველა ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები. (10—4)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ.	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი . . .	1	44			4	42	2	46
უვარილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	5.			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	66
სამტ-ედია .	11	5			2	6	1	14
რიონი . . .	12	13			3	4	1	69
უვ ილა . .	1	18	ღამ.		3	98	2	21
სურამ . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშურ . . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილის . .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილ. სიდამ:		
ქაჯ სიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
როსტოვ., ოდესას, მოსკოვ.	2	—
პეტერბულს, ვარშავას	2	—
ოსმალეთს, შვეიცარიაში.	3	—
იტალიაში და საბერძნეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდ. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქალეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისკენ—ყოველ დღე, კვირას გარდ. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ
და სამზღვარ გარეთ:	
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 20 ნოემბერს.		
ფქვ. თეთ. ბანჯარა, ფთ.	1	90
ფქვილი წითელი . . .	1	50
ქერი ფუთი	1	30
ბამბა, ერევანისა, ფუთი .	6	50
— ამერიკი., ფუთი . .	7	40
ბაპენტალი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუთი.	8	50
— თარაქამისა ფუთი . .	4	60
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ქონი, ფუთი	5	60
ქონის სანთელი ფუთი .	6	80
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	40
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	81
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	90
სპირტი ვედრო	4	80
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	30
—ფხვნილი ფუთი . . .	6	40
ყავა გრგვალი, გრვ. .	—	70
ჩეთი ქუნჯუთისა ფუთი	12	80
თამბაქო, ნაუნლო ფთ.	6	50

თფილისის სამკურნალო.

ერევნის მაიდანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და ბალეკინ—შინ. გ. ავად., ბიუჩერიანც—საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინ. გ. ა. ბ ხუტოვი—საბებრო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინ. ბანი.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინ. გ., ბ. ბუბარიანცი—ციფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი—შინ. გ., ა. ბახტოვი—საბებრო ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინ. გ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 20 Ноября 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.